



ადმონსკლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული კლატფორმა



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 11 მარტი, 2014 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (თანაკოორდინატორი)
3. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
4. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
5. ლევან ცხაკაია - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
6. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
7. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
8. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის ფონდი
9. თენგის სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
10. ალუ გამახარია - ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და ძირითადი საკითხის განხილვამდე ისაუბრა შეხვედრებზე ჯგუფის წევრების დასწრების პრობლემაზე. თანაკოორდინატორის თქმით, ჯგუფში ირიცხება 40-ზე მეტი ორგანიზაცია, თუმცა ძალიან ცოტა მათგანი ესწრება შეხვედრებს, რაც ხელს უშლის ჯგუფის ეფექტიან მუშაობას. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ სამდივნო გამაფრთხილებელ წერილს გაავრცავდეს ჯგუფის წევრებთან.

ამის შემდეგ დამსწრეებმა განიხილეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი "საქართველო 2020". ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს თანაკოორდინატორებისა და დამსწრეების მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე, წარმოადგინეს თავიანთი კომენტარები და წინადადებები.

თანაკოორდინატორის თქმით, მართალია დოკუმენტი საჭიროების შემდგომ დახვეწას, თუმცა ის ფაქტი, რომ მომზადდა სტრატეგიის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია არსებობდეს ზოგადი ხედვა, რომელის ფარგლებში უნდა განვითარდეს სახელმწიფო.

კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობი საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლის თქმით, დოკუმენტში ხარვეზებია ინოვაციისა და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით. მოცემულია მხოლოდ სამი ძირითადი ამოცანა: ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, აუცილებელია თემის პოპულარიზაციის მიზნით მოხდეს მისი ფართო გაშუქება, სატელევიზო გადაცემებისა და პროგრამების მომზადება. საჭიროა სკოლებში გაძლიერდეს საბუნებისმეტყველო საგნებისა და კომპიუტერული მეცნიერებების სწავლება, მოხდეს საუნივერსიტეტო სწავლების განვითარება, საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ახალ ჩარჩო პროგრამაში "ჰორიზონტი 2020" მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.

ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს წარმომადგენლის თქმით, სტრატეგიაში არაფერია ნათქვამი ზრდასრულთა განათლებასა და უმაღლეს განათლებაზე. განათლების სამინისტროს ყველაზე ძლიერი მხარე ამ დროისათვის არის სასკოლო განათლების სტრუქტურა და ეროვნული გამოცდები. სამინისტროს მოწყობაში საერთოდ ამოვრადნილია ისეთი კატეგორია, როგორც არის ზრდასრულთა განათლება. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა საკანონმდებლო ბაზაში ჩამოყალიბდეს სოციალური მეწარმეობის კონტექსტი, რადგან სოციალური მეწარმეობა შეიძლება გადაიქცეს უნივერსიტეტის განვითარების საშუალებად.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის თქმით, სტრატეგიის პროექტის შემუშავება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა დოკუმენტი სერიოზულ დახვეწას და განვითარებას მოითხოვს. საჭიროა პლატფორმის სამუშაო ჯგუფებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადონ შენიშვნები და რეკომენდაციები სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებით, შესაძლებელია ასევე კონფერენციის ორგანიზება. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა ისაუბრა ენერგეტიკული კუთხით დოკუმენტში არსებულ ხარვეზებზე.

ასოციაციის "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია" წარმომადგენლის თქმით, დოკუმენტში არასაკმარისად არის წამოწეული სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მთავრობა ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ სოფლის მეურნეობას მიიჩნევს. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განისაზღვროს ეკოტექნიკისა და ეკოტექნოლოგიების დანერგვა. ხელმისაწვდომი, იაფი და მარტივი ტექნოლოგიების დანერგვით სოფლის მეურნეობა უფრო სტაბილური და მდგრადი გახდება. უმუშევრობის

პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით, მნიშვნელოვანია ბიზნეს ინკუპატორების განვითარების ხელშეწყობა. ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა არსებობდეს საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში ოკუპირებული ტერიტორიების ჩართვის რაიმე მექანიზმი.

დამსწრეების აზრით, კარგი იქნება თუ მთავრობა არასამთავრობო სექტორისათვის მოაწყობს სტრატეგიის პრეზენტაციას.

შეხვედრის ბოლოს ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ სტრატეგიის დოკუმენტთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს წერილობით გაუგზავნიან თანაკოორდინატორებს.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია